



1708/4-2/22 2 23022022



1708/4-2/22  
23-02-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,  
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით საქმეზე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) (საჩივარი N38263/08), მომჩივან მთავრობას და მოპასუხე მთავრობას მიეცათ შეთავაზება გადაწყვეტილების შეტყობინების თარიღიდან თორმეტი თვის ვადაში წერილობით წარედგინათ თავისი მოსაზრებები საკითხთან დაკავშირებით და ეცნობებინათ სასამართლოსთვის ნებისმიერი შეთანხმების შესახებ, რომელიც შეიძლება მათ მიეღწიათ. არაერთხელ იქნა ხაზგასმული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების ისტორიული მნიშვნელობა, რაც იმავდროულად განაპირობებს ინტერესს ამავე გადაწყვეტილების აღსრულების პროცესთან მიმართებაში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, გვაცნობოთ თუ რა ეტაპზეა ამჟამად, გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება და რა ნაბიჯები იქნა გადადგმული მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



# საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010100453594422

№3287

17 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი 2022 წლის 23 თებერვლის №1708/4-2/22 მომართვის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომ – სტრასბურგის სასამართლო/ევროპული სასამართლო) გადაწყვეტილება გამოაქვეყნა საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“, რომელიც ეხება 2008 წლის აგვისტოს ომისა და შემდგომი ოკუპაციის პერიოდში რუსეთის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ადმინისტრაციულ პრაქტიკას. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთის ფედერაციას დაეკისრა პასუხისმგებლობა საქართველოს მოსახლეობის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლის მასობრივი დარღვევებისათვის. ეს გამარჯვება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე წარდგენილი მყარი სამართლებრივი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შედეგია, რაც განაპირობა სამთავრობო უწყებებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარე მჭიდრო და ნაყოფიერმა თანამშრომლობამ.


ევროპული სასამართლოს მითითების შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 12 თვის შემდეგ – მიმდინარე წლის 20 იანვარს, საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოს წარუდგინა „სამართლიან დაკმაყოფილებასთან“ (დაზარალებულთა კომპენსაციის საკითხი) დაკავშირებით სამართლებრივი პოზიცია და თანდართული კომპლექსური მტკიცებულებები.

სამართლებრივი პოზიციის მომზადების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობდა დაზარალებულთა იდენტიფიცირებისა და შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების (ათობით ათასი გვერდი მასალა) მოძიების/დამუშავების პროცესი. საქმის მნიშვნელობისა და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, პოზიციის მომზადებაში ჩართული იყო ყველა შესაბამისი სამთავრობო უწყება.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხზე მხარეთა პოზიციების შესწავლის შემდგომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ქმედებებით დაზარალებული საქართველოს მოსახლეობისათვის გადასაცემი კომპენსაციის ოდენობის თაობაზე, რომლის აღსრულებაზეც ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი განახორციელებს. ყველა სხვა საკითხზე (იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და დეოკუპაციის საკითხების განხილვის ჩათვლით) გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს მინისტრთა კომიტეტი მიმდინარე წლის ივნისიდან დაიწყებს.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამდასმულია  
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე